სსიპ „სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“
სენატი

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
რუსთაველის ქ. №53

ტელ/ფაქსი: (+995 32) 27 48 50
ელ.ფოსტა:info@bsma.edu.ge

გადაწყვეტილება №19/7

ქ. ბათუმი

2020 წლის 10 დეკემბერი

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის F შეფასების მქონე სტუდენტებისათვის შინაგანაწესით დადგენილი შეზღუდვისაგან ერთჯერადი გამონაკლისის დაშვების შესახებ

„მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონის 45-ე მუხლის 2^1 პუნქტის, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 10 ივლისის №1-1/1439 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის წესდების" მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-8 მუხლის, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის შინაგანაწესის საფუძველზე, სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სენატმა

გადაწყვიტა:

1. მიმდინარე სასწავლო წელს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის F შეფასების მქონე სტუდენტთათვის დადგინდეს შინაგანაწესის მე-39 მხულის მე-8 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვისაგან ერთჯერადი გამონაკლისი და სტუდენტებს მიეცეთ 2020-2021 სასწავლო წლის პირველი სემესტრის დასკვნით გამოცდებზე გასვლის უფლება. იმ შემთვევაში, თუ სტუდენტები დასკვნით გამოცდებზე გასვლის შედეგად ვერ გადალახავენ მინიმალურ ბარიერს, ამოქმედდეს შინაგანაწესის 39-ე მუხლის მე-8 პუნქტითა და 36-ე მუხლის მე-9 პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტით დადგენილი სამართლებრივი შედეგები.
2. გადაწყვეტილება გაცნობის მიზნით და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ნავიგაციის ფაკულტეტს, საინჟინრო ფაკულტეტს, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტს, საფინანსო ეკონომიკურ დეპარტამენტსა და სტუდენტთა რეგისტრაციისა და მობილობის დეპარტამენტს.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

სენატის თავმჯდომარე,

რექტორი **ირაკლი შარაბიძე**